



საქართველოს ბაიოლოგიური დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6044
02/08/2019

6044-09-2-201908021424



ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

#12271 წერილის პასუხად გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ.

- 2017 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ბიუჯეტმა შეადგინა 31 190 576 ლარი; 2018 წელს - 13 000 000 ლარი; 2019 წელს - 45 000 000 ლარი.
- მიმდინარე წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოიყენება თერმული ნისლის 78 აგრეგატი, ცივი შესხურების 62 აპარატი, 48 ტრაქტორი და მაღალი წარმადობის აეროზოლური გენერატორები. ჯამში 250 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა. აღნიშნული რესურსი 16-ჯერ აღემატება 2017 წელს გამოყენებული ტექნიკის რაოდენობას. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასავლეთ საქართველოში დამუშავებულია 33 მუნიციპალიტეტი. სულ 109 075,90 ჰა ფართობი (25 ივლისის მდგომარეობით),

2019 წელს დამუშავებული ფართობები რეგიონების მიხედვით (25 ივლისის მდგომარეობით) და დასავლეთ საქართველოში განთავსებული "მოიზიდე და გაანადგურე" სადგურებისა და ფერომონების რაოდენობა იხილეთ დანართში (დანართი 1).

- 2018 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოყენებული იყო თერმული ნისლის 69 აგრეგატი, ცივი შესხურების 51 აპარატი, 17 ტრაქტორი და მაღალი წარმადობის აეროზოლური გენერატორები. ჯამში 150 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა. აღნიშნული რესურსი 2017 წელთან შედარებით გაათმაგებულია. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასავლეთ საქართველოში დამუშავდა 28 მუნიციპალიტეტის 533 ადმინისტრაციული ერთეული, ასევე 21 ჰა შიდა ქართლის რეგიონში. სულ დამუშავებულია 789 829 ჰა ფართობი.

2018 წელს დამუშავებული ფართობები რეგიონების მიხედვით იხილეთ დანართში (დანართი 2).

ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მავნებლის რიცხოვნობა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დიდ მასივებში პრაქტიკულად არ დაზიანებულა სიმინდის ნათესები, რაც შესაბამისად აისახა უხვ და ხარისხიან მოსავალში.

2018 წელს ტყისპირებში, დაცული ტერიტორიების პერიმეტრებზე განთავსდა 50 000 „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური, სოფლის ტერიტორიებზე დამონტაჟდა 50 000 ფერომონი.

მონიტორინგის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით განთავსდა 8000-მდე ფერომონი.

2017 წელს საქართველოს 351 სოფელში განთავსდა 21 ათასი მოსაზიდი ხაფანგი-ფერომონი.

- ✓ სპეციალური ტექნიკით (სატრაქტორე და სამანქანე აგრეგატები - 15 ერთეული; 1500 ძრავიანი ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი; მაღალი წარმადობის აეროზოლური გენერატორი) და ავიაციის გამოყენებით დამუშავდა 110 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რეგიონებში
- ✓ სამეგრელოს, გურიის, აჭარის, იმერეთის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მავნებელი მასიურად იყო გავრცელებული, 230 ათას ოჯახს უსასყიდლოდ გადაეცა პრეპარატები და ფერომონები.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მავნებლის სრული განადგურება შეუძლებელია, თუმცა, შესაძლებელია მისი პოპულაციის კონტროლი და მართვა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას და მოსავლის დანაკარგების მოქცევას 5-15 %-ის ფარგლებში.

აზიური ფაროსანას პოპულაციის მინიმალურ ზღვარზე დაყვანა და კონტროლი (სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების ზიანისა და ეკონომიკური ზარალის შემცირება) მხოლოდ სახელმწიფოს, ფერმერების და მთლიანად საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა.

- ღონისძიებების კოორდინირებულად და ეფექტიანად ჩატარებისთვის დასავლეთ საქართველოში, აბაშის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მავნებელთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრი, სადაც შექმნილია მონაცემების ელექტრონული ბაზა, მონიტორინგის შედეგები აისახება ინტერაქტიულ რუკაზე და ღონისძიებები ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტების მიხედვით იგეგმება.

შექმნილია მოსახლეობის ინფორმირების სისტემა. ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ SMS რეგისტრაცია საკოორდინაციო მართვის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - parosana.ge და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით მიიღონ დეტალური ინფორმაცია ღონისძიებების დაწყებისა და განხორციელების ვადებზე. მუშაობს ცხელი ხაზი.

2019 წელს, წინა წლებისაგან განსხვავებით, შედეგი თვალშისაცემია - იმერეთის რეგიონში თხილის მოსავლის აღების პროცესი უკვე დაიწყო და მეთხილე ფერმერები თხილის კარგ მოსავალს ელიან, რადგან წელს ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული მოსახლეობა, მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაოები აგროვადების სრული დაცვითა და კონსულტანტების რეკომენდაციით ჩატარდა. რამაც მოსავლის ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი